შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 94/17

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„24“ ოქტომბერი 2017წ

საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა

ქალაქ თბილისში, სექტორი-ვაკე, გამზირი ალ. ყაზბეგი, №34, შიდა კვარტალში, №101-ე სკოლის მოპირდაპირედ, (ნაკვეთი №21, №22, №20) სააქციო საზოგადოება „კურაციო“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.14.03.042.126, მშენებარე მრავალფუნქციური შენობის შეთანხმებული პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოებისა და ძვაბულის ფერდის მდგრადობის; მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების ტექნიკური მდგომარეობის, მშენებლობის პროცესში საპროექტო შენობის არსებულ შენობებზე ზეგავლენის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა საპროექტო ტერიტორიას, ტერიტორიაზე მდებარე მშენებარე ნაგებობას და საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებს, მშენებარე მრავალფუნქციური შენობის (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და ამბულატორია) შეთანხმებული პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების; ამავე ნაკვეთის ქვაბულის ფერდის; მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების ტექნიკური მდგომარეობისა და მშენებლობის პროცესში საპროექტო შენობის მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის დასადგენად. ასევე განხილული იქნა მშენებარე შენობის კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია.

საპროექტო მშენებარე შენობა რთული რელიეფიდან გამომდინარე რვა-ათსართულიანია, +3.30 ნიშნულამდე ქვედა სართულები ნაწილობრივ მიწისქვეშაა განთავსებული.

საპროექტო მშენებარე შენობა გეგმაში რთული ფორმისაა, მცირე კონსოლური ნაშვერებით მიწისზედა სართულებზე, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით: 35,10X33,53მ. კონსტრუქციული სქემის მიხედვით საპროექტო მშენებარე ნაგებობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა. არსებული შენობის საძირკვლები წერტილოვანი ტიპისაა, დაფუძნებულია მაღალი სიმტკიცის, ნაკლებადგამოფიტულ კლდოვან ქანებზე.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 85კგ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ^2.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლების ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანები, 3-სგე (სუსტადგამოფიტული კლდოვანი ქანები), საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_c=115,0კგძ/სმ^2.

დღევანდელი მდგომარეობით, მშენებარე შენობის სამხრეთით მდებარე ნაწილში „ა“-„ზ“ ღერძებს შორის, „ზ“ ღერძის ჩათვლით აშენებულია 5-7 სართული, დარჩენილია ტერასული ტიპის 1-5 სართულის დაშენება. „ზ“-„ჳ“ ღერძებს შორის მოწყობილია საძირკვლები და მონოლითური კედლების ნაწილი.

შეთანხმებული პროექტის ცვლილებით გათვალისწინებულია უკვე ნაწარმოები და შესრულებული შემდეგი სამშენებლო სამუშაოები:

-13.20 ნიშნულზე და ზევით: -9.90; -6.60 ნიშნულებზე „ა“-„ბ“ მონაკვეთში შემცირებულია პილონების გაბარიტები და გაზრდილია მათი რაოდენობა. „ბ“-„თ“ მონაკვეთში კოლონების ნაცვლად მოწყობილია პილონები. „ე“-„თ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები და ამ კედლებში ნაწილობრივ მოწყობილია ღიობები. „5“-„5“ „ზ“-„ზ“ ღერძზე გაუქმებულია კოლონა. „1“-„2“ მონაკვეთში „ზ“-„ზ“ ღერძი შემცირებულია.

საპროექტო ტერიტორიაზე მდებარე მშენებარე ობიექტს:

ჩრდილოეთის მხრიდან: ესაზღვრება ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა (შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია).

სამხრეთის მხრიდან: ესაზღვრება საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთი და შემდეგ უნივერსიტეტის ქუჩა (შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია).

აღმოსავლეთის მხრიდან: ესაზღვრება ალ. ყაზბეგის №34-ის, შიდა კვარტალში, №101-ე სკოლის მოპირდაპირედ, (ნაკვეთი №23) თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.14.03.042.037 მდებარე დასრულებული 10-სართულიანი შენობა, კონსტრუქციული სქემის მიხედვით მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპის. მინიმალური დაშორება საკადასტრო მიჯნამდე შეადგენს: 1,47–1,87მეტრს, ხოლო მომიჯნავე შენობამდე შეადგენს 1,62–2,02 მეტრს.

დასავლეთის მხრიდან: ესაზღვრება ესაზღვრება ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა №29, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.14.03.042.114 მდებარე დასრულებული, ტერასული განაშენიანების 9-სართულიანი შენობა, კონსტრუქციული სქემის მიხედვით მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპის. მინიმალური დაშორება საკადასტრო მიჯნამდე შეადგენს: 2,00 მეტრს, ხოლო მომიჯნავე შენობამდე მცირე ნაწილში შეადგენს 2,10 მეტრს, სამხრეთის მხარეს დაშორება თანდათანობით იზრდება 2,10მ-დან–12,0 მეტრამდე. მომიჯნავე ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციები კარგ მდგომარეობაშია.

მომიჯნავედ არსებული და საპროექტო შენობების საძირკვლები დაფუძნებულია მაღალი სიმტკიცის კლდოვან ქანებზე, შენობების მომიჯნავე ნაწილებში საძირკვლების ძირის ნიშნულები გათანაბრებულია, ნაგებობები განთავსებულია ერთნაირი ქანობის რელიეფზე, ძირითადი (კლდოვანი) ქანების ფენების დახრის მიმართულება მიმართულია რელიეფის ფერდის დახრის საწინააღმდეგოდ (ჩრდილოეთის მხარეს) რაც გამორიცხავს კლდოვანი ფერდის ან შენობების დაცურებას და ნაგებობების უარყოფით ურთიერთზაგავლენას.

რაც შეეხება მშენებარე მრავალფუნქციური შენობის ჩრდილოეთის (ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩის) მხარეს, ზედა მარცხენა მონაკვეთში ქვაბულის ფერდის ჩამოშლილ ნაწილს, ჩამოშლილი გრუნტი წარმოადგენს ნაყარ და ძირითადი ქანების ზედა, გამოფიტულ ზონას. როგორც საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნაშია მითითებული, ძირითადი (კლდოვანი) ქანების ფენების დახრის მიმართულება მიმართულია რელიეფის ფერდის დახრის საწინააღმდეგოდ (ჩრდილოეთის მხარეს) რაც გამორიცხავს ნაკლებად-გამოფიტული კლდოვანი ფერდის ჩამოშლას ან შენობების დაცურებას. გრუნტის ზემოთაღნიშნული მცირე ჩამოშლა არ წარმოადგენს საშიშროებას ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩის როგორც ჩრდილოეთით, ასევე სამხრეთის მხარეს მდებარე შენობებისათვის.

შენობის ჩრდილოეთით, მიწისქვეშა ნაწილში, მონოლითური რკ/ბეტონის კედლის მშენებლობა და შემდეგ მის გარედან გრუნტის უკუჩაყრა მთლიანად გამორიცხავს ქვაბულის არსებული ფერდის ჩამოშლას.

დასკვნა:

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ადგენს, რომ ქალაქ თბილისში, სექტორი-ვაკე, გამზირი ალ. ყაზბეგი, №34, შიდა კვარტალში, №101-ე სკოლის მოპირდაპირედ, (ნაკვეთი №21, №22, №20) სააქციო საზოგადოება „კურაციო“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.14.03.042.126, მშენებარე მრავალფუნქციური შენობის შეთანხმებული პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული და დარჩენილი სამშენებლო სამუშაოები ნაგებობის მშენებლობის პროცესში არ გამოიწვევს მომიჯნავე შენობის არსებული ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებას; შენობის ჩრდილოეთის მიწისქვეშა ნაწილში მონოლითური რკ/ბეტონის კედლის მშენებლობა და შემდეგ მის გარედან ქვაბულის ამოვსება მთლიანად გამორიცხავს ქვაბულის არსებული ფერდის ჩამოშლას.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/

შ.პ.ს. საქართველო. შპს "ბაზისი XXI" * GEORGIA. "BAZISI XXI" LTD * 202235296

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე, გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე, , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაფარიძეს ვახტანგ [illegible]

მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა საქართველოს [illegible] პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1985 წელს დაამთავრა [illegible]

სრული კურსი [illegible]

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ. „3" [illegible] დადგენილებით [illegible]

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 წ. „29" 05

1276

ДИПЛОМ С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе Вахтангу Живиевичу в том, что он в 1980 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина и в 1985 году окончил полный курс названного института по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от [illegible] 1985 г. [illegible] присвоена квалификация инженера [illegible]

Председатель Государственной экзаменационной комиссии [illegible]

М. П. Город Тбилиси „29" 05 1986 г.

[illegible] № 1276

Georgia IDENTITY CARD

საქართველო GEO



სახელი / FIRST NAME
ვახტანგ
VAKHTANG

გვარი / LAST NAME
ჯაფარიძე
JAPARIDZE

მოქ. / CIT: GEO
სქესი / SEX: მმ / M
პირადი No / PERSONAL No: 01005021796

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH: 10.06.1963
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY: 26.06.2026

ბარათის No / CARD No: 15IC19267

ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
26.06.2016

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

დამამზადებელი: სრს; MB-IDS 2015
სუს-ს რეგისტრაციის No 26-3184

```
IDGEO15IC1926750100502179б<<<<
6306106M2606266GEO<<<<<<<<<<<1
JAPARIDZE<<VAKHTANG<<<<<<<<<<<
```

ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ“-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. იველიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:

- ქ. თბილისში, გ. ტაბიძის ქ. / ლ. ასათიანის ქ. №23/23-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გაძლიერების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, იოსებიძის ქუჩა №49 (ნაკვ. №17/1) / ქუთათელის (ყოფ. შჩორსის) ქუჩა №3, შ.პ.ს. „ფასადი“-ს საოფისე შენობის რეკონსტრუქცია-დაშენებით პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ სააკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა“-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ.
- ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, შ.პ.ს. „ვილასტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა № 129-ში, ი.ბ.ა. „ნუცუბიძე 2014“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დელისი III ქუჩის მიმდებარედ / ქ. თბილისი, ქუჩა დელისი-3, მიმდებარედ (ნაკვეთი 01/196) შ.პ.ს. „ინტერსტანდარტ ჯორჯია“-ს მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის გენერალური
დირექტორი:

/ი. ცერცვაძე/

შემთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	„ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi_xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	30 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	16 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2016წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	24.07.2017წ

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება
მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი



ვახტანგ ჯაფარიძე

''ახალი საქქალაქმშენპროექტი''
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი

№ ად-38

2017 წლის 20 ივლისი

სს „კურაციო"-ს გენერალურ დირექტორს
ქალბატონ სოფიო გასიტაშვილს

თქვენი წერილის №1-17-52, 19.07.2017 წ მომართვის საფუძველზე, საინჟინრო გეოლოგიური განყოფილების ინჟინერ გეოლოგთა ჯგუფის მიერ (ნ. ილაშვილი, კ. სირაძე) დათვალიერებული იქნა ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზირის №34-ში, 101 სკოლის მოპირდაპირედ (ს/კ 01.14.03.042.126), საცხოვრებელი სახლი-ამბულატორიულ კლინიკის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს ქვაბულის ჩრდილოეთ ნაწილში (ო. ლორთქიფანიძის ქუჩის მიმდებარედ) ჩამოშლილი ფერდი და წარმოქმნილი ბზარები, აგრეთვე ზემოაღნიშნული სააქციო საზოგადოების მშენებარე კორპუსის ქვაბულის ჩრდილოეთი ნაწილის კლდოვანი ფერდი.

დათვალიერებით დადგენილია: ფერდის ზედა მარცხენა ნაწილში დაახლოებით 7–8 დღის წინ ჩამოშლილი გრუნტი, წარმოადგენდა ძირითადი ქანების გამოფიტულ ზონას, რომელიც ინტენსიური წვიმების შედეგად გაჯერდა წყლით, დამძიმდა და ჩამოშვავდა (დაგროვილია ფერდის ძირში).

მიმდებარე ფერდზე დაფიქსირებული ბზარები (ზომებით 1,0–1,5 სმ) ლოკალური ხასიათისაა. ანალოგიური გრუნტები ამ რეგიონში ხასიათდებიან ნაპრალიანობით და არ წარმოადგენენ საშიშროებას მიმდებარე შენობისთვის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძირითადი ქანების დაქანება მიმართულია ფერდის დახრის საწინააღმდეგოდ და ზემოაღნიშნული მცირედი ჩამოშვავება არ წარმოადგენს საშიშროებას ო. ლორთქიფანიძის ქუჩის გადაღმა არსებული შენობებისთვისაც.

მომავალში, არსებული ფერდის ჩამოშლის საშიშროების თავიდან ასაცილებლად, შეძლებისდაგვარად დაჩქარდეს უკანა (ჩრდილოეთ ნაწილში) კედლის მშენებლობა.

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი ნ. ილაშვილი

შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"
(საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი)
საქართველო. თბილისი. 0160.
ალ. ყაზბეგის გამზ. №2 / პეკინის ქ. №34

"AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI" LTD.
(The Georgian Institute for Regional & Urban Planning)
2 A.Kazbegi Ave./ 34 Pekin Str. 0160,
Tbilisi, Georgia